ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3878966

ნომერი: AR1581594

თარიღი : 02.03.2018

გაცემის თარიღი : 23.03.2018

გაცნობის თარიღი : 23.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , მიკრო/რაიონი 3 , კორპუსი 12 , მიმდებარედ (ნაკვეთი 05/033); ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , მიკრო/რაიონი III , 151-ე ბაგა-ბაღის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ ზიბზიბაძე პ/ნ 28001028046
- დიღმის მას., V კვ., კორ., №17, ბ.№44

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ–ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 9 ოქტომბრის №3597534 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ–ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 5

მარტის №AR1580776 განცხადებით მომართა ოთარ ზიბზიბაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 9 ოქტომბრის №3597534 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 9 ოქტომბრის №3597534 ბრძანებით, შეთანხმდა: ქ. თბილისში, დასახლება მუხიანი , მიკრო/რაიონი 3 , კორპუსი 12 , მიმდებარედ (ნაკვეთი 05/033)/ ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , მიკრო/რაიონი III , 151-ე ბაგა-ბაღის მიმდებარედ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:№01.11.13.005.075), მრავალფუნქციური შენობის („ა" ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 09 ოქტომბრიდან 2018 წლის 09 ივნისის ჩათვლით. განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ–ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 9 ოქტომბრის №3597534 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ცვლილების შეტანას ტექნიკურ – ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ: საერთო ფართობი დაფიქსირდეს 2225.8 კვ.მ-ს ნაცვლად 2217.6 კვ.მ.; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი დაფიქსირდეს 319.3 კვ.მ-ს ნაცვლად 318.9 კვ.მ.; სარდაფის ფართობი 157.9 კვ.მ-ს ნაცვლად დაფიქსირდეს 160.2 კვ.მ.; კომერციული ფართობი 167.7 კვ.მ-ს ნაცვლად დაფიქსირდეს 162.3 კვ.მ.; საცხოვრებელი ფართობი 1152.6 კვ.მ-ს ნაცვლად დაფიქსირდეს 1147.9 კვ.მ.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ საპროექტო გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს. ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 9 ოქტომბრის №3597534 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 9 ოქტომბრის №3597534 ბრძანებაში, კერძოდ: საერთო ფართობი დაფიქსირდეს 2217.6 კვ.მ.; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი დაფიქსირდეს 318.9 კვ.მ.; სარდაფის ფართობი-160.2 კვ.მ.; კომერციული ფართობი-162.3 კვ.მ.; საცხოვრებელი ფართობი-1147.9 კვ.მ.;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 9 ოქტომბრის №3597534 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 9 ოქტომბრის №3597534 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.